პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 201 (13893) | კვირა, 27 აგვისტო, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ზეიმობს ორდენოსანი სამხრეთ ოსეთი

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტს სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ სამხრეთ ოსეთის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს მთავრობის საპატიო ჯილდოს — ლენინის ორდენს.

ოლქის დაჯილდოება მოწმობს, რომ პარტია და მთავრობა დიდად აფასებენ სამხრეთ ოსეთის მშრომელთა წარმატებებს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

წინათ ჩამორჩენილი მხარე — სამხრეთ ოსეთი საბჭოთა ხელისუფლების წლებში გადაიქცა მრავალდარგოვანი განვითარებული მრეწველობისა და მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის აყვავებულ მხარედ. დიდი ლენინის იდეების, კომუნისტური პარტიის ბრძნული ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებამ ნიჭიერ ოს ხალხს შეუქმნა მდიდარი სულიერი კულტურის თავისუფალი განვითარების ყველა პირობა.

დღეს, როცა საბჭოთა ადამიანები მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ემზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის, სამხრეთ ოსეთის მშრომელები ძალ-ღონესა და ენერგიას არ იშურებენ, რათა თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საყოველთაო-სახალხო საქმეში, ახალი შრომითი გამარჯვებებით შეეგებონ სახელოვან იუბილეს.

სულითა და გულით ვუსურვებთ სამხრეთ ოსეთის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ყველა მშრომელს ახალ დიდ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ, საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს ორდენოსან საბჭოთა სამხრეთ ოსეთს!

გაუმარჯოს ლენინის დიად პარტიას — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** | **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

დაფასებული შრომის სიხარული

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი

ცხინვალი, 26 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ.). საზეიმოდ მოურთავთ ქალაქ ცხინვალის თეატრალური მოედანი. კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაზე ვ. ი. ლენინის დიდი პორტრეტია. ყველგან ლოზუნგები, პლაკატები, ტრანსპარანტებია.

აქ დილიდანვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ყველა კუთხიდან ჩამოვიდა ათასობით ადამიანი, რათა მონაწილეობა მიეღო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინის ორდენით დაჯილდოებისადმი მიძღვნილ მიტინგში.

დღის თორმეტი საათია. ტრიბუნაზე ადიან პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივნები ვ. გელაშვილი, პ. თედეევი, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე კ. ჯიოევი, ხელმძღვანელი საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, სამრეწველო საწარმოთა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

მიტინგი გახსნა პ. ჯიოევმა. შეკრებილთა ტაშის გრიალში მან წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისასალმებელი დეპეშა.

სიტყვა ეძლევა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანს ვ. გელაშვილს.

კომუნისტური პარტიის ლენინური ზრუნვის მეოხებით, თქვა მან, წინათ ჩამორჩენილმა სამხრეთ ოსეთმა დიდი წარმატებანი მოიპოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის განვითარებაში. ბოლო წლების მანძილზე აქ შეიქმნა ელექტროტექნიკური, ხისდამუშავებელი, კვებისა და მსუბუქი მრეწველობა. პროდუქცია, რომელსაც ჩვენი საწარმოები უშვებენ, იგზავნება ჩვენი სამშობლოს ბევრ ქალაქსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. შვიდწლედის მანძილზე ოლქის მრეწველობამ მთლიანი პროდუქციის გამოშვება ერთიორად გაადიდა. წარმატებით სრულდება ახალი ხუთწლედის დავალებანი.

აღმავლობის გზაზეა სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობა. შარშან გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის ჩაბარების გეგმები. არახელსაყრელი ამინდის პირობების მიუხედავად, გადაჭარბებით სრულდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გეგმები წელსაც.

ფართოდ არის ცნობილი მიღწევები კულტურულ მშენებლობაში, ჯანმრთელობის დაცვაში, მეცნიერებისა და ლიტერატურის დარგში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის მძიმე წლებში დიდმა ლენინმა უშუალოდ გაუწოდა დახმარების ხელი თავისუფლებისათვის მებრძოლ მთიანი ოსეთის ხალხს. ამიტომ ყოველთვის მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ ლენინი მუდამ ჩვენთან არის. ვ. ი. ლენინის სახე შთაგვაგონებს კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

სამხრეთ ოსეთის ლენინის ორდენით დაჯილდოება ძველი რევოლუციონერების დიდი დამსახურების აღიარებაა, რომლებმაც სისხლი დაღვარეს ხალხის ბედნიერებისათვის, აღიარებაა ჩვენი ოლქის მშრომელთა საგმირო საქმეებისა დიდი სამამულო ომის წლებსა და მშვიდობიანი მშენებლობის წლებში. ლენინის სახის შუქი და სითბო დამკვიდრდა ყველა სახლსა და ყველას გულში. და დღეს უდიდეს გულითად მადლობას ვუძღვნით კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, მშობლიურ მთავრობას სამხრეთ ოსეთის მშრომელთა საქმიანობის მაღალი შეფასებისათვის.

შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა ლენინგორის რაიონის სოფელ ორჭოსნის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავმა, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ს. დრიაშმამ.

— ჩვენი სოფლის ცხოვრებაში წელს უკვე იყო ერთი სახელოვანი დღესასწაული. ჩვენი კოლმეურნეობა დაჯილდოდა შრომის წითელი დროშის ორდენით. და დღეს, როცა ვზეიმობთ სამხრეთ ოსეთის ლენინის ორდენით დაჯილდოებას, გვახარებს, რომ საერთო წარმატებებში ჩვენი წვლილიც არის. კარგად გვესმის, რომ მაღალი ჯილდო დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ამიტომ გადავწყვიტეთ საიუბილეო წლის სოციალისტური ვალდებულებანი შევასრულოთ შვიდი ნოემბრისათვის, ვადაზე სამი თვით ადრე შევასრულოთ რძის წველადობის გეგმა, სახელმწიფოს მივყიდოთ სოფლის მეურნეობის ბევრი პროდუქცია.

— წლითიწლობით იზრდება და ლამაზდება ქალაქი ცხინვალი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრი, თქვა სამხრეთ ოსეთის სამშენებლო სამმართველოს მეარმატურეთა ბრიგადირმა ლენინის ორდენის კავალერმა პ. ტოტოვმა. მაღალი ჯილდოთი აღფრთოვანებულნი გაორკეცებული ენერგიით ვიშრომებთ.

ტრიბუნაზეა ქარხანა „ემალსადენის“ მუშა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. სანაკოევა.

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საწარმო ახალგაზრდაა, — თქვა მან, — მას დიდი წვლილი შეაქვს ოლქის სახალხო მეურნეობაში. ქარხნის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნაა და ეს ახალ ძალებს გვმატებს. ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური დავალება შეასრულოს დიდი ოქტომბრის იუბილესათვის.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ს. გაბარაევი, ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის კოლმეურნეობის თავმჯდომარე რ. სიპტურაშვილი, ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის“ ახალგაზრდა მუშა ფ. სიუკაევი ცხინვალის რაიონის სოფელ კეხვის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ბაციშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ფ. ბაგლიევი.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

მიტინგის მონაწილეთათვის გაიმართა დიდი კონცერტი.

სურათზე: ცხინვალი. საბჭოების სახლი. ფოტო მ. ალბოროვისა.

საიუბილეო ვახტაზე

27 აგვისტო მეშახტის დღეა

შახტმშენებლები პირველ ადგილზე

წარმატებით შრომობენ საიუბილეო წელს რესპუბლიკის შახტმშენებლები. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 7 „საქშახტმშენის“ ტრესტის კოლექტივი დგას რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო ვახტზე, გადაჭარბებით ანაღდებს ნაკისრ ვალდებულებებს.

კარგად იშრომეს შახტმშენებლებმა მომდინარე წელს. რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესრულებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის და გამარჯვებისათვის მიმდინარე წლის მეორე კვარტალს შედეგების მიხედვით № 7 „საქშახტმშენის“ ტრესტს (მმართველი შ. გარდაფხაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ვ. ფაშალიშვილი, ადგილკომის თავმჯდომარე ვ. ჭირაქაძე) მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ნოგათეგი შახტებიდან

ტყვიბული. (საკ. კორ.). როცა ღამე ჩამოწვება ქალაქში, შახტების ურნალებზე აინთებიან წითელი ვარსკვლავები. ეს იმას ნიშნავს, რომ მეშახტეებმა „შავი ოქროს“ მოპოვების დღიური დავალება შეასრულეს. წინასაიუბილეო დღეებში ყველა წითელი ვარსკლავი ჩაუქრობლად კიაფობს. ტყიბულელები ტრადიციული დღესასწაულის — მეშახტის დღის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან.

სოციალისტური შეჯიბრების სათავეში დასავლეთის შახტი (უფროსი გ. რაზმაძე). ამ სამთო საწარმოში უკვე განხორციელდა შრომის ახალი ორგანიზაცია — ნაცვლად ოთხცვლიანი დღისა შემოღებულ იქნა სამცვლიანი დღიური. ამ გარდაქმნამ გაზარდა სათბობის ამოღების ტემპი. შახტის კოლექტივმა ვადაზე ოცი დღით ადრე უპატაკა ქვანახშირის მოპოვების რვა თვის სახელმწიფო დავალების შესრულება. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის მარტიდან შვიდ თვეში მეშახტეთა შრომის ნაყოფიერება 14,9 პროცენტით გაიზარდა. მარტიდან ამ წლის მარტამდე ნახევარში მეშახტეებმა 158 ათას მეტონზე მეტი დაზოგეს.

ახალციხე. (საკ. კორ.). ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს № 1 შახტის სამთოელები მთელი ენერგიით იბრძვიან საიუბილეოდ ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულებისათვის. მათ შვიდი თვის საწარმოო დავალება 106 პროცენტით შეასრულეს. გეგმის ჭადამეტებით ამოღებულია 2.767 ტონა სათბობი.

25 წელია ტყვარჩელის № 1 შახტში შრომობენ სამთო ოსტატი აკაკი ჭიჭავა, გამუკანი გურამ ბოჭორიშვილი, ბრიგადირი ლევან შარაბიძე (მარცხნიდან მარჯვნივ), რომლებიც მაღალი შრომითი მაჩვენებლებით აღნიშნავენ მეშახტის დღეს საიუბილეო წელს. ფოტო ი. ჭოხონელიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ენგურჰესის მშენებლობაზე

თათბირი მშენებლობის საკითხებზე

25 აგვისტოს ენგურჰესის მშენებლობაზე ჩატარდა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსები, მთავარი ინჟინერები და ბიდროენერგოშენებლობის სპეციალისტები, ჰიდროტექნიკოს სპეციალისტთა დიდი ჯგუფი.

ჩატარებულ მუშაობასა და მომდინარე წლის ამოცანებზე მოხსენება გააკეთა ენგურჰესის მშენებლობის უფროსმა კ. დადიანმა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს კამხალმშენის სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ნ. ეფსეარმა, გვირაბმშენის სამმართველოს უფროსმა გ. წულაისკირმა, ძალოვანი კვანძის მშენებლობის სამმართველოს უფროსმა ა. ენონილაძემ, საგზაო განყოფილების უფროსმა ვლ. ჟორჟოლაძემ, ვარდნილჰესების სამმართველოს უფროსმა თ. ჩუბინიძემ, მექანიზებულ სამუშაოთა სამმართველოს უფროსმა ა. დიაკოვმა და ენგურჰესის მშენებლობის მთავარმა ინჟინერმა ნ. ჭარხალაშვილმა.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. ჩოგოვაძემ.

კომკავშირული საგზურებით

ნაკადებად მოედინებიან ახალგაზრდები ენგურჰესის მშენებლობაზე საქართველოს ყოველი კუთხიდან.

პირველი აგვისტოდან დღემდე ენგურჰესის მშენებლობაზე სამუშაოდ ჩამოვიდა 700-ზე მეტი კაცი. წლის ბოლომდე მათი რიცხვი 1500-ს მიაღწევს.

მშენებლობაზე მოდიან გორელი, კახელი, თერჯოლელი, ლენტეხელი, თიანეთელი ახალგაზრდები. მათი გადაწყვეტილებაა დარჩნენ აქ ენგურჰესის მშენებლობის დამთავრებამდე.

ლ. ბარძაია — საგუშაგოს უფროსი, გ. ნადირაძე, ლ. სარიშვილი, კ. შანავა — საგუშაგოს წევრები.

არის ცხრა თვის დავალება

ბიათორა. (საკ. კორ.). ხაიუბილეო შეჯიბრებაში ახალ-ახალ ზღუდეებს იპყრობს ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივი (დირექტორი ვ. სამხარაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი პ. კაპანაძე). მაღალი ხარისხების მარგანეცის დამზადების ცხრა თვის დავალება ორჯონიკიძელებმა უკვე შეასრულეს, ხოლო 14 აგვისტოსათვის მათ სამშობლოს უპატაკეს პეროქსიდების დამზადების ცხრა თვის დავალების შესრულება.

ზეიმობენ ოქტომბრის ორდენოსანი ბორჯომელები

ბორჯომელებმა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი ძვირფასი საჩუქარი — ოქტომბრის ორდენი — ღირსეულად მიიღეს.

**ბორჯომელებმა ეს ორდენი ბრძოლაში, ბრძოლაში, ბრძოლაში — ბრძოლაში ... ბრძოლაში — ... ბრძოლაში — ... ბრძოლაში —

ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲙᲐᲠᲘᲑᲭᲔᲡᲗᲐᲜ

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲠᲘᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲘᲠᲛᲨᲘ

Გ. Ო. ᲚᲔᲜᲘᲜᲘ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ. მაგრამ ლენინმა ყველაფერი ზედმიწევნით იცოდა საქართველოს შესახებ.

დიდი ლენინი დაუცხრომლად ზრუნავდა საქართველოსა და კავკასიის ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაციაზე, სოფლის მეურნეობის სწრაფ აღმავლობაზე. მისი გენია მიხწევდა ჯერ კიდევ ხელუხლებელ თეთრ ნახშირს, ჯერ კიდევ გამოუყენებელ ენერგიის რესურსებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში ილიჩი კავკასიის კომუნისტებს მუთითებდა:

„მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, აღორძინებს მას, დასასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას...“

ლენინის ამ მითითებიდან ოთხმოცდა ოთხ მაგე, 1921 წლის ზაფხულის ბოლოს ქუთაისში მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე დაიწყო დიდი სარწყავი არხის გაყვანა... დაიწყო წარსულის დასამარებისა და მხარის გარდაქმნის, აღორძინების დიდი სამუშაოები.

წარსულის დასამარება—ეს იყო გვალვისა და ხორშაკის, მოუსავლიანობისა და შიმშილის დასამარება, ეს იყო ქართველი გლეხკაცის სიუკუნოვანი ოცნება.

წარსულის ყველა ეს მანკი განსაკუთრებული ძალითა და მთელი სისრულით ჩანდა ქვემო იმერეთში, რიონის ველზე, სადაც გვალვას თან სდევდა ხორშაკები — აღმოსავლეთის ცხელი ქარები. ყოველი ათი წლიდან ექვსი ძლიერ გვალვიანი და მოუსავლიანი იყო.

გვალვისაგან განაწამებ ადამიანებს ჯერ კიდევ 1912 წელს უფიქრიათ მდინარე რიონიდან სარწყავი არხის გაყვანაზე. ახლანდელი წყალტუბოს რაიონის სოფლების მაღლაკის, ქვიტირისა და ფარცხანაყანევის გლეხკაცობას ამის გამო „კავკასიის წყალთა ინსპექციის“ წინაშე საკითხი აღუძრავს. მერე პროექტიც შეუდგენიათ. ბუნებრივია, მეფის თვითმპყრობელობის პერიოდში მას განხორციელება არ ღირსებია. მენშევიკების ბატონობის დროს კი, როცა ადრე გაყვანილი არხებიც გაპარტახდა, აბა, ახალი სარწყავი არხის გაყვანაზე ვინ ფიქრობდა!

და აი, საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წელს ლენინის მითითებას ხორცი შეეხსა...

დაიწყო დიდი საშვილიშვილო საქმის განხორციელება.

დაბკრეს პირველი წერაქვი, პირველი ბარი და ათასობით გლეხი დაეძრა მაღლაკიდან და ქვიტირიდან, ფარცხანაყანევიდან და მუხანიდან, მსხვილიდან და ვაკისუბნიდან, ყველა იმ სოფლიდან, სადაც არხის ტრასას უნდა გაევლო.

საბჭოთა ხელისუფლებამ გლეხკაცობას დიდი დახმარება აღმოუჩინა, როგორც ტექნიკური ძალებითა და სპეციალისტებით, ისე საჭირო თანხების გამოყოფითა და სამშენებლო მასალებით. მაგრამ ყოველივე ამას გადაამეტა იმან, რაც თვით გლეხობამ საკუთარი ხელით გაკეთა.

— „ქუდზე კაცი“ — ამ დევიზით გამოდიოდნენ არხის გასათხრელად მოხუცებიც და ახალგაზრდებიც. უჩვეულო ენთუზიაზმით მუშაობდნენ აქ ადამიანები. სოფელი სოფელს ეჯიბრებოდა, კაცი კაცს და ყველას ძალებს მატებდა ერთი აზრი, ერთი მისწრაფება — საკუთარი თვალით ენახათ რიონის მაცოცხლებელი წყალი თავიანთ სოფლებში, ყანებსა და ბალჩა-ბოსტნებში.

„არხების გაკეთება — აი სადღეისო საკითხი... ამ ზრვრ მუშაობა უკვე დაწყებულია. მეზობელი გლეხები, რეკოგნოსცირებენ მეთაურობით უკვე შეუდგნენ ამ დიდი საქმის განხორციელებას — გაკეთავთ არხები.

გაუმარჯოს მეზობელი გლეხკაცობის გარჯას, ენერგიას, ოფლს და ამ ოფლის ნაყოფს!“

ასეთი აღფრთოვანებული სტრიქონები დაიბეჭდა არხის მშენებლობის დაწყებისას, 1921 წლის 11 სექტემბერს ქუთაისის გაზეთ — „მუშა და გლეხში“.

ეს იყო ჭეშმარიტად, საბჭოთა საქართველოს პირველი და დიდი სახალხო მშენებლობა. მაშინდელი მძიმე ეკონომიური მდგომარეობის, მშენებლობისათვის ერთობ რთული პირობებისა და სიძნელეების მიუხედავად, როცა წერაქვი და ბარი წარმოადგენდა მთელ ტექნიკას, ყველაფერი დაძლეული იქნა. მიწის მთელი სამუშაოები გლეხობამ შეასრულა. არხის გაყვანაზე დაიხარჯა 200 ათასი სამუშაო დღე, გამოყენებული იქნა 7.000 ურემი თავისივე მუშით და შესრულდა ათეულ ათასობით კუბმეტრი მიწის სამუშაო.

მშენებლობას ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი ინჟინერი პეტრე მამრაძე. მშენებლობის უფროსის მოადგილედ მუშაობდა ირიგაციის ერთ-ერთი პიონერი ამჟამად მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო ტექნიკური საბჭოს სწავლული მდივანი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერ-მელიორატორი მ. ძაბანი.

ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲠᲘᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲘᲠᲛᲨᲘ

არხის მშენებლობაში ქართველ ხალხს ძმური და უანგარო დახმარება გაუწიეს რუსმა სპეციალისტებმა. არხის გაყვანას განსაკუთრებით დიდი შრომა მოახმარა რუსმა ინჟინერმა იაკობ ფალკონეფიჩმა, რომელიც შემდეგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქუთაისის წყალთა მეურნეობას.

და აი, სამი წლის შემდეგ, 1924 წლის 16 ივლისს დაუდგრომელი რიონი მთელი მისი გაჩენისა და მდინარების დღიდან პირველად დაემორჩილა ადამიანის ნებას და ახლადაშენებული არხით მაცოცხლებელი ტენის მისატანად გაემართა გვალვისაგან გადამწვარი ველისაკენ.

რაკი ამიერიდან ერთხელ და სამუდამოდ საშველი უნდა დადგომოდა გვალვისა და ხორშაკის თარეშს, ლენინის ამ ქმნილებას ხალხმა თავიდანვე „მაშველი“ არხი უწოდა.

არხის გახსნა დიდი სახალხო ზეიმის დღედ იქცა.

„16 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲗᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲛ ᲓᲦᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲖᲔᲘᲛᲘᲗ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲡᲐᲠᲬᲧᲐᲕᲘ ᲐᲠᲮᲘ „ᲛᲐᲨᲕᲔᲚᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲬᲐᲛᲓᲐ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐᲒᲐᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲖᲘᲠᲔᲑᲐ

ოქტომბერი და ჩვენი პლანეტა

უძღვნიან იუგილეს

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტებმა ეშვებენ ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ 50-ზე მეტ ახალ წიგნს. რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი გამომცემლობა „დიც-ფერლაგი“ გამოსცემს ამზადებს წიგნს „მარქსიზმ-ლენინიზმის 50 წლის ტრიუმფი“.

ეგიგე გამომცემლობა გამოუშვებს მოგონებათა კრებულ ვ. ი. ლენინს შესახებ, რომელიც დაწერეს ილიჩის თანამედროვეებმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობა ამზადებს გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარის პროფესორ ი. დიკმანის წიგნს „ოქტომბრის რევოლუციის 50 წელი გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის 50 წელია“.

უმაღლეს მნიშვნელობა ვანი რა მოვლენით აღინიშნა ჩვენი ეპოქა? ეს უდავოდ არის რუსეთში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება. ახლა, როცა ნახევარი საუკუნე გავიდა, კაცობრიობას შეუძლია შეაჯამოს თავისი ისტორიის ამ ღირსშესანიშნავი მონაკვეთის შედეგები.

რა შეიცვალა მსოფლიოში იმ დღიდან, რაც სოციალისტური წყობილება დამკვიდრდა მეფის ყოფილ იმპერიაში? ყველა კონტინენტზე განმათავისუფლებელი მოძრაობის გაჩენება, შეიძლება თქვას, ოქტომბრის რევოლუციის იდეების მიმზიდველი ძალის ყველაზე დამაჯერებელი დადასტურებაა.

საბჭოთა კავშირის გამოცდილებამ ცხადყო, რომ ხალხს, მუშათა კლასს, მშრომელ გლეხობას შეუძლია მართავდეს სახელმწიფოს, რომ მისმა ძალაუფლებამ გაძლო ყველა ჯურის წინააღმდეგობა, ვინც საბჭოთა სახელმწიფოს გარდუვალ დაღუპვას უწინასწარმეტყველებდა.

როგორ გავუკეთოთო რამდენიმე სიტყვით რეზიუმე იმ კოლოსალურ საქმეთა ჯაჭვისას მსოფლიოზე, რომლებიც საბჭოთა კავშირში განხორციელდა, როგორ გამოვიცნოთ იმ წარმატებათა საიდუმლო, რომლებსაც საბჭოთა ხალხმა მიაღწია ოთხმოცდაათ წელიწადზე ნაკლებ ხანში? ამიხათვის საკმარისია გავიხსენოთ, რომ:

ჯერ ერთი, სხვ კავშირის მუშათა კლასმა გლეხობასთან და ინტელიგენციასთან კავშირში შეძლო გადაექცია თავისი ქვეყანა დიდ მსოფლიო სახელმწიფოდ.

მეორე, ეროვნული ხალხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის კურსს.

სხვადასხვა წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის თვით განვითარებაში ახალი ელემენტები გაჩნდა: სოციალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთობამ დასაწყისი მისცა საერთაშორისო ურთიერთობის ახალ, დღემდე უცნობ ტიპს. გამომუშავეს ბულია ახალი, დღემდე სრულიად უმაგალითო ფორმები ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებთან და იმ ქვეყნებთან ურთიერთობისა, რომლებმაც ცოტა ხნის წინათ მოიშორეს ეროვნული ულელი.

რუსეთის რევოლუციის იდეებმა აღაფრთოვანა კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი, განვითარებადი ქვეყნების ხალხის მასები, იმპერიალისტური ავრესის წინააღმდეგ ებრძოლი მთელი ძალები.

ორმოცდაათი წელი ისტორიისათვის, რა თქმა უნდა, ბევრი არ არის. მაგრამ ეს ჩვენი XX საუკუნის გმირული წლებია. 50 წელიწადში ჩვენ-ნმა პლანეტამ ძირეულად იცვალა სახე. ყველგან თვალსაჩინოა მისწრაფება სოციალური პროგრესისადმი, ეროვნული დამოუკიდებლობისადმი, ხალხთა შორის მშვიდობისა და სოლიდარობისადმი.

თუ ვილაპარაკებთ ადამიანთა საზოგადოების განვითარების ტენდენციებზე, მათ აღარ განსაზღვრავს ძველი კაპიტალისტური სამყარო, მათ განსაზღვრავს მსოფლიო სოციალისტური სისტემა, განსაზღვრავენ ხალხები, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, საზოგადოების რეორგანიზაციისათვის სამართლიან, მშვიდობისმოყვარულ, პროგრესულ და ჰუმანისტურ საფუძველზე.

მსოფლიოში ოცდაათი წლის მანძილზე მომხდარი ეს ცვლილებები დიდი ნაწინდარია მომავლისათვის.

შარლ არუზი,
ფრანგი პუბლიცისტი.
პარიზი.

ცხოვრების სიმართლე

კითხი საბჭოთა კავშირში რადიკალურად არის გადაჭრილი, რასაც ვერ ვეთარ შემთხვევაში ვერ იტყვი კაპიტალისტურ სამყაროზე.

მესამე, საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში ეს კაცობრიობის ისტორიის ახალი ეტაპია. სწორედ სოციალიზმის და არა კაპიტალიზმის სამყარომ „ონერეტულად პირველად დააყენა მტაცებლური ომების ლიკვიდაციის საკითხი.

ამასთან, როცა ხახავს ხაერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტის გზებს, ისეთ გზებს, რომლებიც გამორიცხავენ ომს, — სოციალისტური დიპლომატია განუხრელად ახორციელებს ლენინ პლანტამ ძირეულად იცვალა სახე. ყველგან თვალსაჩინოა მისწრაფება სოციალური პროგრესისადმი, ეროვნული დამოუკიდებლობისა და ხალხთა მშვიდობისა და სოლიდარობისადმი.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲖᲠᲝᲒᲐ ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲝᲕᲨᲘ

დამასკო, 26 აგვისტო. საკადესის კორესპონდენტი კ. ამკილოვი გვატყობინებს:

გუშინ მეთოთხმეტეჯერ გაიხსნა დამასკოს საერთაშორისო ბაზრობა. საზეიმო გახსნაზე იყვნენ სირიის მთავრობის წევრები, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, საზღვარგარეული სტუმრები, პრესის წარმომადგენლები. სირიის არაბთა რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის ნურედინ ატასის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ეკონომიკისა და საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ამმედ მურადმა.

ახლანდელ ბაზრობაში მონაწილეობს 24 ქვეყანა. ბაზრობაზე პირველად არიან წარმოდგენილი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა და თურქეთი. ბაზრობისადმი ასეთ ყურადღებას მიიჩნევენ იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლ არაბულ ქვეყნებთან ხალხთა სოლიდარობის გამოვლინებად. ეარიელია ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პავილიონები, რომელთა მონაწილეობა ბაზრობაში სირიის მთავრობამ არ ისურვა.

სსრ კავშირის დიდი პავილიონი და ახლომდებარე მოედანი შეკსებულია ექსპონატებით. პავილიონის ექსპონატებზე უჭირავს სსრ კავშირის წარმატებებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, რომლებიც მოპოვებულია საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის მანძილზე. ექსპონატები და გრაფიკული მასალები აშუქებენ სირიის არაბთა რესპუბლიკასა და სხვა არაბულ ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის თანამშრომლობას. სსრ კავშირისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის ვაჭრობის მოცულობა 3-4-ჯერ გადიდდა.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲝᲓᲔᲑᲐ

ვენა, 26 აგვისტო. (საკადესი). ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურმა სამდივნომ ყველა ავსტრიელ დემოკრატს მოუწოდა ალიმაღლოს საპროტესტო ხმა იმის წინააღმდეგ, რომ ინდონეზიის რეაქცია აპირებს ანგარიში გაუსწოროს ინდონეზიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს ნიონოს.

ᲣᲤᲝ ᲢᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ნიუ-იორკი, 26 აგვისტო. (საკადესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა მოიწონა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების პროექტები, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და ამერიკის დელეგაციებმა წარუდგინეს განიარაღების კომიტეტს უენევაში. განცხადებაში უ ტანი იმედს გამოთქვამს, რომ ახეთი ხელშეკრულება მალე დადება, ფართო მხარდაჭერას მოიპოვებს და ბოლოს მოუღებს გამაღლებელ ატომურ შეიარაღებას.

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲣᲜᲘᲢᲐᲡ“ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

რომი, 25 აგვისტო. საკადესის კორესპონდენტი ა. ლოპატინი გვატყობინებს:

ამჟამად იტალიის ყველა რაიონში მიმდინარეობს დღესასწაულები, რომელსაც აწყობს გაზეთი „უნიტა“. დიდ და პატარა დასახლებულ პუნქტებში იტალიელი მშრომელები ამ დღეებში ეწირებიან ტრადიციულ შეხვედრებზე კომუნისტური პრესის მხარდასაჭერად. მარტო აგვისტოს პირველ ნახევარში, იუწყება „უნიტა“, მოეწყო 500-ზე მეტი ასეთი დღესასწაული. ეს დღესასწაულები ყველგან იქცევა მასობრივ სახალხო სეირნობებად. აროვნებენ სასრულს კომუნისტური პრესის ფონდში.

წელს „უნიტას“ დღესასწაულებზე ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილმა სტენდებმა. დამთვალიერებლებში დიდი წარმატება აქვს იტალიაში გამოცემულ რევოლუციური წლების ლამაზ ალბომებს, რომლებიც თავის ფერზე გაკრული იყო მოსკოვის, ეტროგრადისა და რუსეთის სხვა ქალაქების სახლუბის კედლებზე. კომუნისტური პრესის მხარდაჭერის კამპანია დამთავრდება „უნიტას“ საერთო ეროვნული ფესტივალით, რომელიც გაიმართება მილანში 6-დან 10 სექტემბრამდე.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲮᲠᲘᲓᲐᲜ

⊙ **ნიუ-იორკი, 26 აგვისტო.** (საკადესი). არგენტინის პრეზიდენტმა ხუან კარლოს ონგანიამ გუშინ ხელი მოაწერა ანტიკომუნისტურ კანონს, რომელიც უკვე მოიწონა უშიშროების ეროვნულმა საბჭომ.

ამ კანონის საფუძველზე იმათ, ვისაც ბრალად დასდებენ „კომუნისტურ საქმიანობას“, მეაცარ სასამართლო პასუხისგებაში მისცემენ და შესაძლოა დაპატიმრონ კიდეც. მათ უფლება არა აქვთ იმუშაონ სახელმწიფო დაწესებულებებში და ჩამოერთმევათ არგენტინის მოქალაქეობა, თუ საზღვარგარეთ არიან დამყოფნი. უცხოელ კომუნისტებს გაასახლებენ არგენტინიდან.

⊙ **კელსინკი, 26 აგვისტო.** (საკადესი). ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ფინეთის მთავრობას სახელით ხებრძნეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ფინეთის მთავრობა გადაჭრით გმობს ხამხედრო გადატრიალებასა და სამხედრო დიქტატურას, რომლებიც ეწინააღმდეგება სამართლიანობასა და სამხედრო ბალანსს ევროპაში.

⊙ **ნიუ-იორკი, 25 აგვისტო.** (საკადესი). დღეს უცნობმა სნაიპერმა თავში ესროლა და მოკლა ამერიკის ნაციონალური პარტიის მეთაური ჯორჯ როკუელი. უცნობმა ისროლა შენობის სახურავიდან, როცა როკუელი ვამინტონის გარეუბანში ნაციონალური პარტიის შტაბ-ბინიდან გამოდიოდა. სნაიპერი მიიმალა.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲝᲓᲔᲑᲐ

ვენა, 26 აგვისტო. (საკადესი). ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურმა სამდივნომ ყველა ავსტრიელ დემოკრატს მოუწოდა ალიმაღლოს საპროტესტო ხმა იმის წინააღმდეგ, რომ ინდონეზიის რეაქცია აპირებს ანგარიში გაუსწოროს ინდონეზიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს ნიონოს.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲖᲠᲝᲒᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 26 აგვისტო. (საკადესი). ნიგერიის ფედერალური მთავრობის [illegible] ... ცნობებში, რომ დამომბვის დროს ალმოსავლეთ ნიგერიის ლიდერი პოლკოვნიკი ოდუმეგეგუ ოჯუკუ ბენინში დიდიანინ ვ ნ ე ლოგან თამბირს აწყობდა. ეს ცნობები ჯერ არ დადასტურებულა.

როგორც ფედერალური მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, სრულიადმოგრეული შეტაკებები მოხდა დასახლებულ პუნქტებთან ბენქტებთან ორესთან და ოკიტიპუპამთან, აგრეთვე დასავლეთის შტატის ზოგიერთ სხვა ფრონტზე.

ᲛᲐᲠᲯᲕᲝᲑᲐ

მ. სტურუა

I.

UᲣᲚᲔᲚ დილას, როგორც კი მზე ამოვა კურორტ ბრაიტონში, ადამიანი გამოდის თავისი ოთახიდან, აგვიჯიანდ რომ აქვა დაქირავებული, და ზღვის ნაპირისაკენ მიემართება. გაიხსნის ფეხსაცმლის ზონრებს, გაიხდის ფეხსაცმელს, მუხლებს ზევით დაიკარწახებს ბარგალეს და რამდენიმე ნაბიჯს წადგამს ოკეანისაკენ. შემდეგ გაჩერდება. ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას, ცნობილი სასახლის პირსის ცოტა აღმოსავლეთით. წყალი ზანტად ულოკავს ქუსლებს და არ ადის კოჭებს ზევით.

კაცი უძრავად დგას. ხელები მკერდზე მიუკრავს. ტუჩზე მისწებებია სიგარეტი. ერთ წერტილს მისჩერებია. შორს კი არა, სადაც ჰორიზონტი იღუნება, არამედ თითქმის თავის ფეხებქვეშ, მიმტერებია საკუთარ ანარეკლს, რომელიც ფრთის და აქეთ-იქით ტალღისებურად იბნევა, როგორც დაზიანებული ტელევიზორის ეკრანზე.

მას უკვე მიეჩვევნენ. მოლიციელები არ აწუხებენ — იგი არავითარ კანონებსა და წესებს არ ეწინააღმდეგება. ექიმები თავს არ აბეზრებენ — სულიერი ავადმყოფობის ნიშნები არა აქვს. მარტობა ჯერ კიდევ ავადმყოფობა არ არის, ხომ ასეა? ადამიანი კი მარტოა. სულ მარტო. ცოლი მოუკვდა. ქალაშვილი სადღაც წავიდა. არავინ არ იცის, რაზე ფიქრობს მთელი დღეები, თავის გამოსახულებას რომ დაჰყურებს. არავინ არ იცის იმიტომ, რომ არ ეინტერესება. ადამიანებს რა ესაქმებათ ადამიანთან, საკუთარი საზრუნავი და საფიქრებელი აქვთ.

ამ კაცის გვარი ფილიპსია. სამოცდაცხუთი წლისაა. მაგრამ ეს არაფრისაც არა ნიშნავს. იგი ასევე შეიძლება იყოს მისტერ სმიტი ან მისტერ ადამსი. უფრო მეტიც. სულაც არ არის აუცილებელი, რომ კოჭებამდე წყალში იდგეს. იგი შეიძლება იჯდეს თავის კლუბში ბუხართან, ჩაფლული რბილ სავარძელში, რომლის ტყავე ჯერ კიდევ ბაპამისს გადაუხეხავს ჯდომით. შეიძლება იწვეს ნესტიან ბარაკში ან საერთო ღამისასთევში კოხსერვის ცარიელი ქილების სარეცელზე. იგი შეიძლება იყოს ახალგაზრდა და მოხუცი...

სოციოლოგები ტრაქტატებს წერენ მარტობაზე; ექიმები ცდილობენ უმკურნალონ მას ფსიქოანალიზით, (მაშ, მარტობა მაინც ავადმყოფობა ყოფილა?); პოეტები უმღერიან ლექსებში, რომელთა რიტმი წყდება, როგორც სკლეროზით დაზიანებული არტერიები; ახირებული სიმართლისმაძიებლები ეომებიან მას, როგორც დონ-კიხოტი წისქვილებს, ხოლო მოქანდაკეები ამსტრაქტულ ძეგლებს უდგამენ ადამიანის სულის ამ სავსებით კონკრეტულ მავ ჭირს.

ჩვენში, საქართველოში, მოხუცები ჯერ კიდევ წარმოთქვამენ სადღეგრძელოს, რომლის აზრი ჩემთვის არასოდეს არ ყოფილა სავსებით ნათელი, ეს არის სადღეგრძელო იმ ხისა, რომელიც წყალში დგას, მაგრამ წყურვილით კვდება. აქ, დასავლეთში, ადამიანი შეიძლება ტრიალებდეს შუანდარ ხალხში, საზოგადოების ცენტრში, მაგრამ მარტოობისაგან კვდებოდეს.

მისტერ ფილიპსი ამის ხელთუქმნელი ძეგლია.

ერთხელ სტუმრად ვიყავი და გვიან საღამოს ვბრუნდებოდი. ეს იყო ერთ-ერთი ჩვეულებრივი ლიტერატურული კოქტელი, რომელსაც ტემზაზე გადამდგარ თავის მეუღლის სახლში ზოგჯერ მართავს ასალგაზრდა, მაგრამ უკვე წარმატებების მქონე ირლანდიელი მწერალი ქალი.

აფრიკელი მწერალი, რომელიც, როგორც ჩანდა, პირველად მოხვდა ტემზაზე გადამდგარ ამ პატარა სახლში და რომელსაც მასპინძელი ეგზოტიკურ კერძად სთავაზობდა სტუმრებს, პირდაპირ ფიზიკურად იტანჯებოდა „ცხოვრებაზე“ ლაპარაკის დაუშცხალი სურვილით. ერთი-ორჯერ კიდევაც წამოიწყო, მაგრამ მუდმივი სტუმრები ერთხულოვნად დაეშოშმინებდნენ ხოლმე აზავთებულ სიმუმს.

სტუმრად ყოფნა საკმარისად რომ მივიჩნიე, დავემშვიდობე საზოგადოებას. დაშოშმინებული სიმუმი ამეკვიატა. ჩვენ არ გვაკავებდნენ (ტემზის პირას მდგომ სახლში ჩვეულებრივად მხოლოდ მოქანარებას იკავებენ).

გავჩერდით პატარა რესტორანთან, რომლის კარებზე ჩამოკიდებული იყო „კანთის“ შემოწნული ბოთლები. შიგნით თითქმის არავინ იყო. ოფიციანტები უაზროდ წმენდდნენ დანა-ჩანგალს. ორი თუ სამი ჩვეული კუთხეებში მიმსხდარიყო და შეთქმული კარაბინარიების გამომეტყველებით დუმდა. (რესტორანი ხომ იტალიური იყო). ქალიშვილი ულტრადაზე უხეიროდ ბაძავდა ბარბარა სტრეიზანდის (მუსიკელი ჟანრის (ენობილი ნიუიორკელი მომღერლის) ბრუკლინურ კილოს და მღეროდა მის გაცვეთილ შლაგერს:

„ბედნიერია, ვისაც კაცი ეგულების ქვეყნად
გულს რომ გასდიოს, თვის გასაჯრის გაუზიარებს“.

ჯს სიმღერა ათასჯერ მაინც გამიგონია. მაგი ნაღვლიანი და გულშეჩამეწყდომი კილო ბეერჯერ ამკვიატებია მომაბეზრებლად. მაგრამ სიტყვები? მეკანიკურად ვიმეორებდი სიტყვებს და არა ვიცილობდი ჩაეწედომოდი მათს აზრს. და უცებ იმ საღამოს, იმ ნახევრადნენ იტალიურ რესტორანში ჩავუფიქრდი მათ.

— უცნაურია, — ვუთხარი აფრიკელს, — რატომ უნდა ფეოს ბედნიერი ის ადამიანი, რომელსაც სხვა ადამიანი სჭირდება?

ჯერ ვერ მიმიხვდა. მაშინ თვალებით მომღერალზე განიშნე.

— აი თურმე რაზე მეუბნებით! — თქვა მან. — აზრი თავისთავად მართლაც რომ ძალიან ზუსტია. საქმე ეხება ხომ არა უბრალოდ საჭიროებას, არამედ იმას, რომ ადამიანები გესაჭიროებოდეს, ამასთან მათზე კი არ იყო დამოკიდებული, არამედ მათთან ურთიერთობა გგქონდეს. მიიხედ-მოიხედეთ ლონდონში თქვენს გარშემო. საზოგადოება თანდათანობით აღარ რჩება იმად, რაც უნდა იყოს თუნდაც ამ სიტყვაში ჩაქსოვილი აზრით. დასავლეთელი საზოგადოება, — მე და თქვენ, როგორც გარიდან მაყურებელნი, ამას უკვე უნდა ვხედავდეთ, — სულ უფრო იქცევა ინდივიდუალების კრებულად, სადაც რაოდენობა თვისებაში არ გადადის, სადაც ატომებში და მოლეკულებში არ არიან ურთიერთ შეჭიდულნი. ადამიანები ლოკოკინასავით თავიანთ ნიჟარაში იკეტებიან, ხდებიან კანტის ნიჟთი თავისთავად, რომელიც სამუდამად ბარდება ადამიანის ეგოიზმის შესანახ კამერაში. გაიხსენეთ პერსონაჟები, რომლებსაც ეს არის ახლა დავშორდით. მათ ესაჭიროებათ არაფი და გამოქცევლები, შესაძლოა, ქალები. მაგრამ ადამიანები არა, გესმოთ. ადამიანები არა!

მომეჩვენა, თითქოს აფრიკელმა სამუმმა დაუბერა და „კიანთის“ შემოწნული ცარიელი ბოთლები შეარხია. კარბონარიებიც კი შეკრთნენ. ოფიციანტმა თავი დაანება ისეთდაც პრიალა დანა-ჩანგლის წმენდას, მოგვიახლოვდა და შეგვეკითხა. ჯენტლმენებს ვისკი კიდევ ხომ არ ნებავთო.

— ადამიანები თუ გყავთ? — თვალების ეშმაკური ციალით შეეკითხა სამუმი და თეთრი კბილები გამოაჩინა.

ოფიციანტმა მხრები აიჩეჩა.

— როგორც ჩანს, მისტერ, თქვენ მეტი აღარ უნდა დალიოთ, — რაც შეიძლებოდა თავაზიანად უთხრა მან.

— სწორია. აღარ უნდა დავლიო. ამიტომაც გეკითხები. გაქვს თუ არა რამე წასასყიდელი?

ოფიციანტი კარგად იყო გაწვრთნილი. მან უსიტყვოდ მოგვაწოდა მენიუ, უზარმაზარი, როგორც ადრესი, რომელსაც მიართმევენ ხოლმე მეთვალყურე საბჭოების პრეზიდენტებს ლონდონის სიტიში, რომლებიც მრგვალ თარიღს მიაღწევენ ხოლმე. ოფიციანტს შევხედე. მაგ ადამიანები არ ესაჭიროებოდა. მას ესაჭიროებოდა კლიენტები და კიდევ არყის ფული.

II.

AᲛᲘᲐᲛᲐᲓ ზოგიერთი გაზეთისა და ჟურნალის ფურცლებზე კეკლუცად დასეირნობს მოდური სიტყვა — „არაკომუნიკაბელობა“. ეს სიტყვა განსაკუთრებით შეუყვარდათ ლიტერატურულ კრიტიკოს ქალებს, უპირატესად რომ წერენ კაფკის, კომუსს, სარტრის, ონიელსის და სხვა დელიკატესების შესახებ, რომლებსაც ისინი ისე შეპყურებენ, როგორც კატა არაყანს. „არაკომუნიკაბელობა“ — იმდენად თარგმნილი სიტყვა როდია, რამდენადაც კონსტრუირებული. დედანში იგი გაისმის როგორც „Lack of communication“, რაც პირდაპირი თარგმნით ნიშნავს „ურთიერთობის ნაკლებობა“.

ერთხელ ამ „არაკომუნიკაბელობაზე“ საუბარი ჩამომივარდა ცნობილ ინგლისელ მსახიობთან და მწერალთან რობერტ მორლისთან.

— იცით, რა განსაზღვრებას მივცემდი ჩვენს საზოგადოებას?

— იკითხა მან და თვითონვე გასცა პასუხი: — მდუმარეთა საზოგადოება. გარდა პარლამენტისა, ჰაიდ-პარკისა და ოლნდონის საკვირაო ბაზარ „პეტიკოუტ-ლეინისა“, მთელი ჩვენი ქვეყანა გარინდებულია. სახლები ისე ჩანს, გეგონება ყველანი დახოცილანო. მართალია, ფანჯრებიდან ისმის პოპ-მუსიკის ღმუილი, რადიომიმღებებს რომ არყავს, და ტელევიზორების ბუტბუტი, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ადამიანებს თავიანთი ბინები დუტოვებიანთ, მთელი ამ ტექნიკის გამორთვა კი დავიწყებიათ. რა თქმა უნდა, ფანჯრებში რომ შეიხედოთ, დაინახავთ ადამიანებს, თუმცა ისინი მადამ ტიუსოს მუზეუმის ცვილის ფიგურებს უფრო მოგაგონებენ: კაცს გაზეთში ჩაურგავს თავი, ქალი ქსოვს, ბავშვები ფირფიტებს არჩევენ ან თამბაქოს ეწევიან და ჭერს შესჩერებიან. მათ არავითარი სურვილი არა აქვთ გამოელაპარაკონ ერთმანეთს. საბოლოო მაგიდასთანაც კი. თუმცაღა, თუ თქვენ ყურადღება მიაქცევთ, ჩვენი სახლებიდან ახლა თვითონ სასადილო მაგიდებიც ქრება. ადამიანები ტელევიზორის წინ სხედან და მდუმარედ ჭამენ. ყველაზე გავრცელებული ინგლისური სიტყვა ხდება „Shut up“ („მოკეტე“).

მორლის მიერ დახატული სურათი რამდენადმე გამახვილებულია პოლემიკური მიზნით, მაგრამ საერთოდ სწორია. არა მარტო საზოგადოება ირღვევა დაუკავშირებელ ატომებად და მოლეკულებად, არამედ თვით ეს ატომებიც, თუ მათ ოჯახურ უჯრედად მივიჩნევთ, სულ უფრო ხშირად ირღვევიან. საქმე არა მარტო თაობათა კონფლიქტია. საქმე ის არის, რომ ზედნაშენი — ინდივიდუალიზმის ფილოსოფია და ბაზისი — კერძო საკუთრება „სრულყოფილი ხდებიან“ იმ მიმართულებით, იმ სფეროში, სადაც ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველიდან, როგორც იგი უნდა იყოს, მხოლოდ ცხოველად იქცევა.

ამ დონემდე დაქვეითებული ადამიანი მარტოდმარტოა, როგორც, მაიაკოვსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „უსინათლოდ ბინისაკენ მიმავალის უკანასკნელი თვალი“. ეს არ არის გაგარინის მარტოობა კოსმოსში ან ჩიჩესტერისა ოკეანეში, ეს წმიდა ანტონის მარტოობაც არ არის; ადამიანებსა და ცდუნებებს უდაბნოში რომ გაექცა. ეს მარტოობის განსაკუთრებული სახეა, რაღაც სენი, რომლითაც ამჟამად მძიმედ დაავადებულია დასავლეთი სამყარო.

ადამიანები, რომლებსაც თავიანთ არსებაში ჩხრეკაც კი უვარო, ამჯობინებენ თავიანთი გაჭირვების მიზეზები გარეთ ეძებონ. ახლა მოდაშია ბრალი დასდონ ტექნიკას, კერძოდ ტელევიზორი, — ამბობს იგივე მორლი. — ეს თავისებური მაცივარია, რომელშიც ჩავაწყვეთ ჩვენი ფიქრები და გრძნობები, უფრო სწორად რომ ვთქვათ, გავგზავნეთ მასთან. იგი ჩვენს მაგიერ იცინის და ტირის, ხარობს და წუხს. ჩვენს მდუმარე საუბუნეში იგი კიდევაც ლაპარაკობს ჩვენს მაგიერ.

ტელევიზორი — ადამიანის ფიქრთა და გრძნობათა მაცივარი. ცუდად როდია ნათქვამი! მაგრამ ტელევიზორს არ შეუქმნია ვაკუუმი ადამიანებს შორის ურთიერთობაში. მან მხოლოდ შეავსო ეს ვაკუუმი.

მაიაკოვსკი ლაპარაკობდა უძვირფასეს გვირგვინზე, რომელიც შეიძლება მხოლოდ ერთი უბრალო ადამიანური სიტყვით იყიდო. შემდეგ კი დასძენდა: „განა ეაფი არ არის? აბა სინჯე, — ვერა, ვერ იპოვნი!“ პოეტის ავიც მაუწყებელი წინასწარმეტყველება სრულდება. უბრალო ადამიანური სიტყვა იშვიათობა ხდება.

ადამიანები აქეთ-იქით აწყდებიან, ამ უბრალო ადამიანურ სიტყვას რომ ეძებენ. რობერტ მორლი წინადადებას იძლევა, რომ ვინც მას დაეძებს, პიჯაკის ლაცკანზე გაიკეთოს ნიშანი ასეთი წარწერით: „მინდა გულითადად გამოგესაუბრათ...“. ისინი გამოეცნობოდნენ ერთმანეთს მეტროსა და მატარებლებში, ქუჩაზე და მანქანების ორომტრიალში, არ ექნებოდათ იმის შიში, რომ წაეწყდებოდნენ გამყინავ სიტყვას „Shut up!“ ან — „მოკეტე!“ და გულს გადააყოლებდნენ უბრალო ადამიანურ საუბარში. მორლი უფრო შორსაც კი მიდის. იგი, მაგალითად, წინადადებას იძლევა, რომ პოეტებმა ატარონ ნიშნები, რომლებითაც წინადადებას მიხცემდნენ შემხვედრთ ჩვენი ლექსები მოისმინეთო, ხოლო დიასახლისებმა — ჩვენი დამზადებული საჭმელი გახინჯეთო და ერთმანეთთან ფინჯან ყავაზე ვიმასლაათოთო.

გულმოწყალე და მიამიტური პროექტებია! რა თქმა უნდა, შეიძლება გაიტანონ ბინებიდან ტელევიზორები და უფლებებში აღადგინონ სასადილო მაგიდები, მაგრამ, ჯერ ერთი, საეჭვოა, რომ ეს მოხდეს და, მეორეც, საეჭვოა, რომ ამით რაიმე შეიცვალოს. ოჯახი ირღვევა არა იმიტომ, რომ არ არის მაგიდა, რომლის გარშემოც შეიძლებოდეს შეკრება, არამედ იმიტომ, რომ ნათესაური ურთიერთობა ქონებრივი ურთიერთობით იდევნებოდა. შვილები შვილები აღარ არიან, ისინი მხოლოდ მემკვიდრენი გახდნენ, თანაც არა სულიერ ფასეულობათა, არამედ ქონების — მოძრავის თუ უძრავისა, ოღონდ არა უბრალო ადამიანური სიტყვისა. სიყვარული გარიგებაა. ქორწინება გარიგებაა. გარიგება სინდისთანაც და ნოტარიუსთანაც. ცოლ-ქმარს სხვადასხვა ხარეკო წიგნაკები აქვთ. ერთმანეთს არ ანდობენ არც თავიანთ აზრებს, არც თავიანთ გრძნობებს, მით უმეტეს არც ფულს. თქვენ კი ნიშნებზე ლაპარაკობთ, მისტერ მორლი, ნიშნებსა და სახადილო მაგიდებზე!

„ᲝᲜᲘᲡᲢᲘᲘᲡ“ ᲡᲐᲐ. ᲙᲝᲠ.

ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ
ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲝᲑᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲛᲔᲚᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲔᲡᲙᲐᲚᲐᲪᲘᲐᲡ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ.

ᲕᲘᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲚᲬᲘᲤᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ.

ᲜᲘᲒᲔᲠᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲚᲐᲒᲝᲡᲘ, 26 აგვისტო. (საკადესი). ნიგერიის ფედერალური მთავრობის [illegible] ... ცნობებში, რომ დამომბვის დროს ალმოსავლეთ ნიგერიის ლიდერი პოლკოვნიკი ოდუმეგეგუ ოჯუკუ ბენინში დიდიანინ ვ ნ ე ლოგან თამბირს აწყობდა. ეს ცნობები ჯერ არ დადასტურებულა.

როგორც ფედერალური მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, სრულიადმოგრეული შეტაკებები მოხდა დასახლებულ პუნქტებთან ორესთან და ოკიტიპუპამთან, აგ

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲔᲑᲔᲑᲘ

ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲓᲐᲜ

ორჯონიკიძე (ხაჯ. კორ.). პარიზის უნივერსიტეტთან არსებული ესთეტიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ქალბატონი ივეტ გრიმი, რომელიც ახლახან პარიზის კონსერვატორიაში პროფესორად მიუწვეიათ, გატაცებულია მრავალსმიანი აღმოსავლური სიმღერებით და განსაკუთრებით ქართული ხალხური მუსიკის მარგალიტებით. მას მეგობრული მიმოწერა აქვნია ქართველ მუსიკათმცოდნეებთან, პროფესორ გ. ჩხიკვაძესთან, მეუსწავლია ქართული წერაკითხვა და ახლახან ესტუმრა საქართველოს.

ქართული ხალხური სიმღერების შემკრებ-ჩამწერი ექსპედიცია პროფესორ გ. ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით და ივეტ გრიმის მონაწილეობით ამ დღეებში ეწყობა ორჯონიკიძის რაიონს.

ფრანგი მუსიკოსი აღაფრთოვანა რაიონის კულტურის სახლის ვოკალური ჯგუფის (ი. აბაშიძე, ლ. ლურსმანაშვილი, ე. დეკანოსიძე, ო. აბაშიძე, ჯ. გიორგაძე, თ. კიკნაძე, შ. ბუაჩიძე) ოსტატობამ, ძველი ქართული სიმღერების — „ჰეი, ადილა“, „მხედრული“, „მაყრული“, „ჭონა“, „მრავალჟამიერი“ და სხვ. შესრულებამ. ფრანგმა პროფესორმა თერთმეტი სიმღერა ჩაიწერა.

ივეტ გრიმი მოიხიბლა აგრეთვე ხოფელ ბაზალეთში დების დევდარიანების, სოფელ კიცხში კ. წიწილაშვილის, პ. ბერაძის და პავლაძეების მიერ ხალხური სიმღერების შესრულებით.

ექსპედიციამ მვერი ხალხური სიმღერა ჩაწერა.

ᲩᲐᲠᲚᲘ ᲩᲐᲞᲚᲘᲜᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲒᲔᲚᲘᲐ

„ᲗᲣᲠᲥᲛᲔᲜᲐᲚᲘᲩᲘᲡ“ საწარმოო გაერთიანების ხალიჩის მქსოველმა ანატოლ რეჯეპოვამ და მისმა ქმარმა ჯუმამ — გაერთიანების მთავარმა მხატვარმა წერილი მიიღეს ჩარლი ჩაპლინისაგან, იუწყება საადესის ამბასადელი კორესპონდენტი.

„დიდი მადლობა, — წერს გამოჩენილი მსახიობი, — მშვენიერი საჩუქრისათვის. ყოველთვის მეხსომება თქვენი სიკეთე, სულგრძელობა... მერწმუნეთ, რომ თქვენი საჩუქარი შთაგონების წყარო იქნება ჩემი მომავალი მუშაობისათვის, რომელსაც ვიმედოვნებ, კვლავაც განვაგრძობ“.

ჩარლი ჩაპლინმა წერილი გამოგზავნა პასუხად საჩუქარზე — შესანიშნავ ხალიჩაზე, რომელზეც მისი პორტრეტია გამოსახული. ხალიჩა მორთულია თურქმენული ორნამენტით.



ᲪᲘᲠᲙᲘ ᲒᲘᲬᲕᲔᲕᲗ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲝ!

ხᲕᲐᲚ თბილისის ცირკი კვლავ გახსნის კარს და ახალ სეზონს დაიწყებს. მაღალთაღიანი ლამაზი შენობა ახმაურდება და სტუმრებს მიიღებს. რამდენ საინტერესო წარმოდგენას გვპირდება ეს მამაცთა ხელოვნების კერა. სწორედ ამაზე, ახალი სეზონის სიახლეებზე ესაუბრება გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს თბილისის სახელმწიფო ცირკის დირექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ბრძოლ შენაძე.

— ყოველ ახალ სეზონს, — ამბობს გ. ვენაძე, წინა წელთაგან განსხვავებული დამახასიათებელი რამ მოაქვს. ამ მხრივ წლევანდელი წელიც არ წარმოადგენს გამონაკლისს. უწინარეს ყოვლისა თბილისელებს სასიამოვნო სიურპრიზი ელით. ალბათ უკვე შეამჩნიეთ თბილისის ქუჩებში დიდი აფიშები, რომლებიც იუწყებიან, რომ ჩვენს დედაქალაქში სეზონს ამერიკული ცირკის მსახიობები ხსნიან. აქვე მინდა, დავუმატო, რომ ეს პირველი შემთხვევაა თბილისის ცირკის ისტორიაში, როცა სეზონს უცხოელები ხსნიან.

ამერიკული ცირკი ჩვენს ქალაქში ერთ თვეს დაპყოფს. ვფიქრობ, თბილისელთათვის საინტერესო იქნება მის მსახიობებთან შეხვედრა. ამის გამო არ აღვწერ მათს მთლიან პროგრამას. ხომ ამბობენ, ათჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობსო.

წლევანდელი სეზონის მეორე პროგრამა დაეთმობა ქართულ ცირკს. რას ᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲜᲡᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘ?

წლევანდელი წლის საკონცერტო და თეატრალური დასები განსაკუთრებულ წარმოდგენებს გვთავაზობენ. ამ ფერხულს ვერც ჩვენ გამოვაკლდებით. წელს მაყურებელი საერთოდ ბევრი კარგი სანახაობით განებივრებული იქნება და ამის გამო ჩვენც არა გვაქვს უფლება მას ძველი პროგრამით გავუმასპინძლდეთ.

ქართველმა მსახიობებმა თავიანთი ხელოვნება უკვე გაიცნეს გორელებს, სოხუმელებს, ფოთელებსა და ქუთაისელებს.

დედაქალაქის ცირკის მანეჟზე ისინი ახალი პროგრამით გამოვლენ. კვლავ ნახავენ თბილისელები რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, ორდენანდარ ჟანრის მსახიობს სანდრო დადეშკელიანს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს გ. გარსევანიშვილსა და მ. ლალაშვილს. გვექნება ახალი რთული ნომერი — ბატუტი, რომელიც დაამუშავა ლ. ნატრაშვილმა, პროგრამაში იქნება ძალოსანი აკრობატიკა, ორმაგი მავთული, ჭიერითი.

აქვე მინდა დავძინო, რომ ქართული ცირკი კარგახანია უცხოეთმაც გაიცნო. სულ ახლახანს დაბრუნდნენ პარიზიდან ქართველი მოჭირითეები.

წლიდან წლამდე ერთ-ერთი მტკივნეული ადგილი იყო ჩვენი ორკესტრი. ცირკის მოყვარულნი დამეთანხმებიან, რომ უკანასკნელ ხანს ორკესტრმა ხახე იცვალა. იგი რიცხობრივად გადიდდა. ხელმძღვანელის რ. კონიაევის შრომის შედეგად ორკესტრის ოტკატობის დონე საკმაოდ ამაღლდა. მართალია, ამ მხრივ საკმაოდ რთული წინააღმდეგობა გვაქვს აკუსტიკის მხრივ. საცირკო აკუსტიკა ორკესტრის ყღერადობას, რა თქმა უნდა, ხელს უშლის, მაგრამ მაინც შევეცდებით, რომ ორკესტრი კარგად გამოიყურებოდეს.



ᲙᲕᲘᲠᲐᲚᲔᲚᲘ ᲨᲐᲠᲠᲨᲘ

ფოტო მ. თითარიშვილისა.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ

ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲡᲐᲙᲠᲐᲕᲘ

ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ, რედაქციის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში შემოვიდა შავგვრემანი, შუა ხნის კაცი, თავაზიანად მოგვესალმა და გაგვეცნო. იგი აღმოჩნდა ბათუმის მეორე საშუალო სკოლის მასწავლებელი გიორგი ებრალიძე. ხელში ქაღალდშემოხვეული მოგრძო ნივთი ეჭირა და ეტყობოდა სწორედ ეს იყო მისი სტუმრობის მიზეზი.

ქაღალდში უჩვეულო რამ აღმოჩნდა: სამტარიანი, კომბინირებული ინსტრუმენტი, რომელიც კაკლის ხისაგან ლამაზად გაუთლია. ერთი ტარი ექვსფარდიანია და ფანდურს წარმოადგენს, მეორე თითქოს გარეგნულად არ განსხვავდება, მაგრამ თორმეტფარდიანია და ზედ გამული სიმები გიტარის წყობას ედრება, მესამე საკრავი ჩონგურის ხმას გამოსცემს და დამატებული აქვს მეოთხე სიმი, ანუ ზელი.

ბათუმელ მასწავლებელს გიორგი ებრალიძეს ჯერ უმუშავია ამ უჩვეულო ინსტრუმენტის ნახაზებზე და შემდეგ ეს „შეჯვარებული“ საკრავი გამოუთლია.

ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ!

ᲒᲣᲨᲘᲜ რედაქციაში მოვიდნენ დედა-შვილი: მასწავლებელი ქ. კვინიკაძე და სტუდენტი ლ. კალანდაძე—აღელვებულნი, თითქოსდა გაკვირვებულნიც და გახარებულნიც. მოსვლის მიზეზზე მათ აი რა უამბეს რედაქციის თანამშრომელს:

— საზაფხულო არდადეგები ქალაქგარეთ გავატარეთ. თბილისში დაბრუნდით მატარებლით ადრე დილით. დავიქირავეთ ტაქსი. როცა ჩვენი ხელბარგით უკვე ჩვენს ბინაზე ვიყავით, უცებ თვალს დაგვაკლდა ჩემოდანი, რომელშიც ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი ნივთები გვედო. თავგზადაბნეულები გამოვვარდით კარში, ჩვენი დიდი საცხოვრებელი კორპუსის ფართო მოედანზე (ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 2), მაგრამ რისი იმედით?! არც ტაქსის ნომერი ვიცოდით და მით უმეტეს, არც მძღოლის გვარი.

ამ გამოუვალ წუთებში, ვხედავთ, მოედანზე ტაქსი შემოაგელვა მძღოლმა, გადმოვიდა, გვიცნო, ერთი კი შემოგვწყრა გულმავიწყობისათვის, და ჩვენი ჩემოდანი გადმოგვაწოდა.

აი კეთილშობილება!

მძღოლი აღმოჩნდა შოთა �. ჩილის-ძე ფალიაშვილი, თბილისის ტაქსომატორის მესამე კანტორის მუშაკი.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ

ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲞᲐᲗᲘᲐ?

ᲩᲕᲔᲜᲡ რედაქციაში ბოლო დროს მრავალი წერილი შემოვიდა, სადაც მკითხველები გვთხოვენ მოვუთხროთ მათთვის მეტად საინტერესო საკითხებზე — კერძოდ, არსებობს თუ არა წინათგრძნობა, შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს მანძილზე ზეგავლენა მოახდინოს მეორე ადამიანის ქცევაზე, „ახდენილ სიზმრებზე“, მკითხავობაზე და ა. შ. რაღა თქმა უნდა, უმეტესობას აინტერესებს, არსებობს თუ არა ტელეპატია, სცდება თუ არა ტელეპატიური მოვლენები წმინდა დამთხვევათა სფეროს და ა. შ.

ამ დღეებში „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ კორესპონდენტი გ. ᲑᲐᲠᲐᲘᲫᲔ ესტუმრა საქართველოს ფსიქოლოგიის ინსტიტუტს და გაიცნო ფსიქოლოგებს რედაქციაში შემოსული წერილები. არსებული ლიტერატურის საფუძველზე პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ᲛᲔᲯᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ შეეცადა დაეკმაყოფილებინა მკითხველთა ცნობისმოყვარეობა და მოეთხრო მათთვის საინტერესო საგანზე.

ᲒᲣᲚᲒᲐᲠᲘᲜᲘᲡ შესაზღვრეები ვეებდნენ ბორტმოქმედს, რომელიც საბერძნეთში გადასვლას ლამობდა. რამდენჯერმე მიაკვლიეს მის ადგილსამყოფელს, მაგრამ იგი უფნებლად უსლტებოდათ ხელიდან. დანაშაული კიდევ უფრო დამძიმდა იმით, რომ მან შვიდი მესაზღვრე მოკლა. თვე თვეს მისდევდა, მაგრამ სასჯელი კვლავ ელოდა სისრულეში მოყვანას.

ხელმოცარული მესაზღვრეები მიადგნენ საზღვრიდან კარგა მანძილით დაშორებულ პატარა ქალაქ ბეტრიჩაში მცხოვრებ უბრალო ქალს—ვანგა დიმიტროვას, რომელსაც უკვე სამელი ჰქონდა მოხვეული საოცარი და ამავე დროს უცნაური უნარით — შინიდან გამოუსვლელად გაეხსნა საიდუმლოება მრავალი, ერთი შეხედვით უიმედო ძიებისა. აი ახლაც, თითქოს ᲯᲐᲓᲣᲚᲘᲡ სარკეში იყურებაო, მესაზღვრეებს ზუსტად დაუხატა ადგილი, სადაც დამნაშავე იმალებოდა: „ვხედავ ტყეს, ტყის შუაგულში მობერებული ტოტებგაბარდნილი ხე დგას; ხეს შორიახლო მდინარე ჩაუდის, მდინარის პირას ძველი სახლის ნანგრევებია...“

მეტი აღარ იყო საჭირო: მეორე დღეს ბორტმოქმედი შეიპყრეს.

ვანგა დიმიტროვა ერთადერთი ადამიანი როდია, ვინც დაჯილდოებულია უნარით განიცადოს ის, რაც მისგან დიდი მანძილის დაშორებით ხდება. ასეთი უნარით დაჯილდოებული ადამიანების შესახებ სმენიათ ჰოლანდიელ ცოლ-ქმარს კომპანიასაც, რომელიც 1962 წლის 12 ივლისს უგზოუკვლოდ დაეკარგათ ოთხი წლის ბიჭუნა — ჰენკი. ძიება უშედეგო აღმოჩნდა და მამა იძულებული გახდა დახმარებისათვის მეზობლად მდებარე ჭუტრეხტის მცხოვრებ ჯერარ კრუაზესთვის მიემართა. კრუაზეს პასუხი (რომელიც მეცნიერული შესწავლის მიზნით მაგნეტოფონზე ჩაიწერა) ასეთი იყო: „ახლის გასწვრივ ვხედავ ქარხანას, რომლის პირდაპირ ნახევრადანგრეული სახლია. მასთან რაღაც ხიდისებური ნაგებობაა, რომლის საფეხურები წყალში ეშვება. ვხედავ ცისფერ ნიშანსაც ხიდიდან დაახლოებით 50 მეტრზე. მის პირდაპირ ვხედავ პატარა კოშკს, იგი ახლოა არსთან. თუ დანგრეულ სახლთან ზურგით დადგებით, ისე, რომ ხიდს პირდაპირ უყურებდეთ, ბავშვს წყალში, ნაპირიდან დაახლოებით ათ მეტრზე იპოვნით“. და ბავშვის გვამიც, მშობლების უკანასკნელი ნუგეში, სწორედ იმ ადგილიდან ამოიღეს.

იყო დრო, როცა ასეთი ადამიანები ღმერთის ნების გამომსატყვლებად მიაჩნდათ, ხოლო თვით უნარის არსებობის ფაქტი რწმენის სფეროს არ სცილდებოდა. მაგრამ მეცნიერებამ, რომელმაც ღმერთის ცნება ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების გაგებიდანაც განდევნა, ყურადღება მიაქცია ზოგიერთი ადამიანის თავისებურ უნარს — შორი მანძილიდან განეცადა რაიმე სახის ზემოქმედება ანდა თვით მოეხდინა მისგან დაშორებულ სხვა ადამიანზე ზეგავლენა. დაიწყეს ლაპარაკი „აზრის უშუალო გადაცემის“, „ტვინის რადიოს“, „მანძილზე შთაგონების“ შესახებ და ა. შ.

1876 წ. ცნობილი ფიზიკოსის ფარადეის მოწაფე ბარეტი გამოვიდა ბრიტანეთის მეცნიერთა ასოციაციის სხდომაზე მოხსენებით „აზრის უშუალო გადაცემა“, რამაც საფუძველი ჩაუყარა ამ უცნობი მოვლენის მეცნიერულ შესწავლას.

1882 წელს ლონდონში დაარსდა ფსიქიკური გამოკვლევების ხაზოგადოება, რომელმაც 1886 წელს ორ ტომად გამოსცა ასეთი უცნაური შემთხვევების კრებული სათაურით „ცხოვრების ილუზიები“, რომელთა აღსანიშნავად პირველად იქნა ნახმარი ტერმინი ᲢᲔᲚᲔᲞᲐᲗᲘᲐ. მასში იგულისხმება ადამიანთა შორის მანძილზე აზრის, გრძნობის, ნებასურვილის გადაცემა ან რაიმე სხვა სახის ფსიქიკური ზემოქმედება.

უკვე XIX ს. ბოლოდან მეცნიერები ცდილობენ ცნობები ტელეპატიური მოვლენების შესახებ ექსპერიმენტული გზით მიიღონ.

არსებობს მრავალი სახის ექსპერიმენტული მეთოდი, რომლითაც ხდება ტელეპატიური კავშირის დადგენა. მაგიდის მოპირდაპირე მსარეს, ერთმანეთისაგან იზოლირებულად ზის ორი ადამიანი. ერთი მათგანი ინდუქტორია (ვინც ახდენს აზრით ზემოქმედებას), მეორე კი პერციპიენტი (ვინც იღებს ანუ განიცდის ამ ზემოქმედებას). ორივეს განკარგულებაშია 25 ცალი ჩვეულებრივი კარტი, რომლებზეც გამოსახულია ხუთი სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურა (ზენერის კარტი), ან ხუთი სხვადასხვა ცხოველის სურათი (სოულის კარტი). ინდუქტორი იღებს რომელიმე კარტს და აზრით შთაგონებს პერციპიენტს, რომ მანაც იგივე ფიგურა ამოიღოს. მთელი ეს პროცედურა ზუსტად ფიქსირდება თვითეულის მიერ. ამის შემდეგ ხდება შედარება იმისა, თუ რამდენ შემთხვევაში დაემთხვა იმათი არჩევანი. ცდების ეს სერია შეიძლება მრავალჯზის იქნას გამეორებული.

ტელეპატიური კავშირის განსორციელებაზე მსჯელობენ იმის მიხედვით, თუ რამდენად სჭარბობს სწორად ამოცნობილი კარტების რაოდენობა მოსალოდნელი შემთხვევით დამთხვევათა რიცხვს. ზოგიერთმა ცდამ საოცარი შედეგი გამოიღო. პერციპიენტმა ორჯერ ამოიცნო 25-ვე კარტი, 4-ჯერ 24, და ა. შ.

არსებობს მანძილზე აზრის გადაცემის სხვა ცდებიც. ცნობილია გამოჩენილი ამერიკელი მწერლის ეპტონ სინკლერის ტელეპატიური კავშირის სეანსები თავის ცოლთან მერისთან, რომელიც, როგორც პერციპიენტი, ზოგჯერ დიდი მანძილით (50 კმ) იყო დაშორებული. ამ ცდებში გამოვლინდა ფაქტი, რომელიც ტელეპატიის ერთ-ერთ დამსახსოვრებელ ნიშანზე მიუთითებს: სინკლერმა, როგორც ინდუქტორმა, სქემატურად დახატა აბოლეზული ვულკანი. პერციპიენტმა ხატავს იმავე სურათს, მაგრამ მას სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაციას აძლევს — ხოჭო ულვაშებით. ე. ი. გადაცემა მოხდა არა აზრის ელოგიური შინაარსისა, არამედ თვალსაჩინო ხატისა, თითქოს სურათისა. მსგავსი მოვლენები შემდეგშიც მრავალჯერ იქნა აღნიშნული. ამაზე მიუთითებს საბჭოთა მსახიობი კარლ ნიკოლაევიც, რომელიც ტელეპატიური ფაქტების შესწავლელი სპეციალური ლაბორატორიის წევრია და თვითონ არის დაჯილდოებული ამ უნარით.

ენა!?

დიახ, თუ გადაცემა ხდება თვალსაჩინო, ხატოვანი შინაარსისა, მაშინ ხომ ენას, რომლითაც ხდება აზრის გადაცემა, არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს.

ლიტერატურაში აღნიშნულია შემთხვევები, როდესაც ტელეპატიური კავშირი განხორციელდა სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე და სხვადასხვა ქალაქში — პარიზსა და ათენში, ვენასა და ვარშავაში მცხოვრებ პირთა შორისაც. ნიკოლაევზე ჩატარებულ ცდებში იგი ტელეპატიურ ზემოქმედებას სწორად იღებდა მაშინაც, როდესაც გადაცემა ხდებოდა ინგლისურ, არაბულ, იაპონურ ენებზე, რომლებიც მან არ იცის.

ამჟამად მთელ მსოფლიოში, საბჭოთა კავშირშიც ძლიერ გაიზარდა ინტერესი როგორც ტელეპატიის, ისე მისი მსგავსი მოვლენების შესწავლისადმი. ბევრ ქვეყანაში შექმნილია სპეციალური სამეცნიერო ცენტრები, არსებობს საერთაშორისო კომიტეტი თავისი ეურნალით, ეწყობა საერთაშორისო კონგრესები, ხდება ტელეპატიური სეანსების საჯარო დემონსტრაცია, არსებობს უამრავი გამოკვლევა, და მაინც... არ არსებობს საბოლოო პასუხი კითხვაზე: არსებობს თუ არა ტელეპატია?

ზოგისთვის იგი უეჭველად დადასტურებული ფაქტია, ზოგისთვის დასაშვებია, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის სარწმუნოდ დადგენილი, ზოგისთვის კი იგი თაღლითობისა და მეცნიერული დემაგოგიის ნაყოფია.

ვინ არის მართალი?

ტელეპატიის მოსახრები ამ აზრისა არიან: მართალია, ჯერ არ არის დადგენილი ტელეპატიური ზემოქმედების მატერიალური გადამცემი (ყველაზე სარწმუნოდ აქ ელექტრომაგნიტური ტალღები ჩანდა), მაგრამ ზოგიერთი მონაცემის მიხედვით ტელეპატიური კავშირი განხორციელებულია ისეთ მანძილზე და ისეთ გარემოში, სადაც ეს ტალღები ვერ შეაღწევდა. გაინა ეს საკმარისია იმისათვის, რომ უნდობლად მოვეკიდოთ ფაქტებს, რომელთა ახსნა ჯერ არ არის შესაძლებელი? და განა ზოგიერთი სახის კავშირის აღმოჩენა (ვიბრაციის შეგრძნება ადამიანთან, ღამურებისა და დელფინების ულტრაბგერითი ორიენტაცია და ურთიერთობა თავისსავე თანამოძმეებთან, ზოგიერთი სახის პეპლების ურთიერთ მიზიდვა ძალიან დიდი მანძილიდან) არ იძლევა უფლებას, რომ დავუშვათ: ბიოლოგიურ ორგანიზმებს, და მათ შორის ადამიანსაც, აქვთ შორ მანძილზე ზემოქმედებისა და მისი აღქმის ისეთი ორგანული აპარატი, რომელიც თავისი ეფექტის მიხედვით ემსგავსება რადიოელექტრონიკის თანამედროვე მოწყობილობას.

პარაფსიქოლოგებს თავიანთი მტკიცების სასარგებლოდ მოჰყავთ მთელი რიგი ფაქტები: ზოგიერთ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ შეუძლია ხის ან რკინის უბრალო ჯოხის მეშვეობით შეიგრძნოს, თუ მიწის ქვეშ სად გადის წყალი, ელექტროდენი, სად დევს ესა თუ ის მადნეული და ა. შ. გავიხსენოთ „კომუნისტის“ მკითხველებისათვის ცნობილი ქალიშვილი ლეილა ᲯᲐᲜᲯᲦᲐᲕᲐ, რომელსაც შეუძლია მოისმინოს საკმაო ზომის ტყეტები და მაშინვე თქვას, რამდენ ასოს შეიცავდა იგი. ორმა ქართველმა ბიჭუნამ — ძმებმა (6 და 7 წლის) მეცნიერები გააოცეს უნარით — გამოეცნოთ, თუ მომავალი წლის სხვადასხვა თვის ნებისმიერი რიცხვი კვირის რა დღე იქნებოდა. ასეთი მაგალითები ბევრია.

საზღვარგარეთელ მეცნიერთა შორის ბევრია ისეთი, რომლებიც ცდილობენ ტელეპატიკა იდეალიზმის და რელიგიის სამსახურში ჩააყენონ. მატერიალისტურად მოაზროვნე მეცნიერები კი იმედოვნებენ, რომ აღმოჩნდება ტელეპატიური ინფორმაციის მატერიალური გამტარი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ზოგიერთი პარაფსიქოლოგიური ლაბორატორიები მუშაობა ამ მიმართულებით გასაიდუმლოებულია; (პარაფსიქოლოგია — მიმდინარეობაა, რომელიც შეისწავლის ტელეპატიას და ხი მსგავს მოვლენებს). ასევე ცნობილია, რომ ამერიკელი კოსმონავტების პროგრამაში შეტანილია ტელეპატიური სეანსებიც.

დასასრულ აღსანიშნავია შემდეგი: ფსიქოლოგთა XVIII საერთაშორისო კონგრესის შემდეგ, რომელიც 1966 წლის აგვისტოში გაიმართა, მოხდა საბჭოთა და უცხოელი მეცნიერების არაოფიციალური შეხვედრები და დისკუსიები საერთოდ პარაფსიქოლოგიის და კერძოდ ტელეპატიის საკითხებზეც.

გ. ᲛᲔᲯᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲕᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲗ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ

ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲞᲐᲗᲘᲐ?

ᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲞᲔᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ

ფოტოეტიუდი ილ. ბაევისა.

ᲩᲐᲠᲚᲘ ᲩᲐᲞᲚᲘᲜᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲒᲔᲚᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲚᲐᲜᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲔ ᲞᲚᲐᲜᲘ

ᲠᲔᲕᲐᲠᲘᲝᲜᲘ 20 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ᲐᲜᲓᲚᲔᲠᲓᲐᲜᲘ, 26 აგვისტო. (საჯდესი). ველორმბოლთა მსოფლიო ჩემპიონატზე სპორტულ ესპარეზობაში შედეგები გაითამაშეს საფრანგეთ-იტალიის დუეტებმა. ისევე როგორც შარშან, ჩემპიონობა მოიპოვა ფრანგმა **დანიელ მორელონმა**, რომელმაც ფინალში დაამარცხა თავისი ძველი მეგობარი და თანაგუნდელი მეტოქე **პიერ ტრანტენი**. მესამე-მეოთხე ადგილებისათვის იბრძოდნენ იტალიელები **ჯორჯიო ბორგეტი** და **ჯორდანო ტურინი**. მეოთხე ადგილზე დარჩა ტურინი.

20 წლის ჰოლანდიელმა სპორტსმენმა **ბერტ დონგერსმა** ოქროს მედალი მოიპოვა გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში. მან 4 კილომეტრი 4 წუთსა და 57 წამში გაიარა. დონგერსმა ფინალში სამი წამით მოუგო დანიელ **მოგენს ფრეის**. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ჩეხოსლოვაკიელმა **იური დალერმა** — ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა.

სამივე საბჭოთა ველოსიპედისტი ქალი გავიდა სპრინტერთა რბოლის ნახევარფინალში. ახლა უკანასკნელი წლების მსოფლიო ჩემპიონებთან **გალინა ერმოლაევასთან, ვალენტინა სავინასთან** და **ირინე კირიჩენკოსთან** ერთად „სპრინტის დედოფლის“ ტიტულისათვის იბრძვის ფრანგი სპორტსმენი **�eline კაა.**

„ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲣᲚᲘ ᲘᲛᲔᲓᲘᲡ“ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

ᲒᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ „ᲑᲔᲜᲤᲘᲙᲐᲡᲐ“ და არგენტინის „ᲑᲝᲙᲐ ᲯᲣᲜᲘᲝᲠᲡ“ შორის. ანგარიში მეორე ტაიმში არგენტინელებმა გახსნეს, მაგრამ მალე ეისებიომ გვერდი აუარა ორ მცველს, შემდეგ მოატყუა მეკარეც და წონასწორობა აღადგინა. ეს გუნდები ერთხელ კიდევ შეხვდებიან ერთმანეთს, ამჯერად ლოს-ანუელესში.

- ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲡᲘ იქნა ფიქსირებული დანიისა და ინდოეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩში — 14:2. გაიმარჯვეს დანიელებმა.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲚᲐᲜᲘ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐᲜᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘ

ᲛᲔᲗᲝᲥᲔᲗᲝᲗᲘᲡ

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ-ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲐᲓᲒᲝᲚᲘ

ᲛᲔᲠᲘᲠᲔ